სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: არქეოლოგია

სადოქტორო პროგრამის კოორდინატორი \ ხელმძღვანელი - სრული პროფ. გურამ გრიგოლია

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
პროგრამის მიზანი: არქეოლოგიის ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს, კავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს მატერიალური კულტურის არსის, მისი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობის, სოციალური ხასიათის დადგენას. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში დოქტორანტი შეიძენს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის კვლევის ჩვევებს, მიღებული ცოდნის გარკვეულ ეტაპზე და კონკრეტული მიმართულებით აკუმულაციის უნარს.

დოქტორატურაში სწავლის დროს მოხდება ძირითადი აქცენტის გადატანა არქეოლოგიის იმ მიმართულების უმთავრესი საკითხებზე, რომელიც დოქტორანტის კონკრეტული ინტერესების სფეროს სრულიად შეესაბამება. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე დოქტორანტურაში განსაკუთრებული სისრულით იქნება შესწავლილი საკვლევ თემასთან დაკავშირებული ინტერდისციპლინარული შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს სამეცნიერო ანალიზის განსაკუთრებული შედეგების მიღებას.

სწავლის შედეგი:
1. ცოდნა და გაცნობიერება
თანამედროვე არქეოლოგიის ძირითადი მეთოდების და მეთოდოლოგიების ცოდნა.
2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები
სამეცნიერო ნაშრომების წერის უნარი; სამეცნიერო მოხსენებების წარდგენის უნარი. აზრის სიზუსტის მიღწევის უნარი და მისი ადექვატური გამოყენების უნარი რთულ და წინააღმდეგობრივ დებატებისას. სალექციო კურსების მომზადებისა და წაკითხვის უნარი
3. ზოგადი/ტრანსფერული უნარები
სამეცნიერო ნაშრომისათვის საჭირო მასალის მოპოვების უნარი. უნარი გადალახოს საგნის ტრადიციული საზღვრები.
ემპირიული მასალის ანალიზისა და კლასიფიკაციის უნარი; მეცნიერული არგუმენტირების უნარი; დისკუსიებში მონაწილეობის უნარი. კულტურათა დიალოგში მონაწილეობის და დებატების უნარი. საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტების გამოყენების უნარი საკუთარი თავი მოტივირების უნარი.

ბ) დასაქმების სფეროები: არქეოლოგიის დოქტორის ხარისხის მქონე სპეციალისტმა შეეძლება იმუშაოს სხვადასხვა სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში არქეოლოგიის სპეციალობის მიხედვით. ამასთან, მატერიალური კულტურის ღრმა ცოდნის მიღების შედეგად, მას შესაძლებლობა ექნება განახორციელოს საექსპერტო სამუშაო, ანუ შეაფასოს (ქრონოლოგიურად, კულტურულად, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, კულტურული მნიშვნელობის თვალსაზრისით) ის ნივთები, რომლებიც კონკრეტული ინტერესების საგანს შეიძლება შეადგენდეს. არასამთავრობო ორგანიზაციებში. საჯარო სამსახურებში; ანალიტიკურ ცენტრებში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებში.

დასაქმების სფერო: პროგრამის განხორციელების შედეგად დოქტორანტი შეიძლება დასაქმდეს ჰუმანიტარული მეცნიერებების საწავლო, სამეცნიერო და კვლევით დაწესებულებებში... სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების სავარაუდო წინაპირობები:

- საკანდიდატო მინიმუმების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- რომელიმე ევროპული ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) B-2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში მაძიებელს მოეთხოვება გამოცდის ჩაბარება უცხო ენაში ზემოთ აღნიშნული ცოდნის დონის შესაბამისი ფორმატით.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო კომპონენტი განხორციელდება თსუ ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე. დოქტორანტის განკარგულებაში იქნება თსუ საუნივერსიტეტო და ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბიბლიოთეკები, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა და ფონდები, გერმანიის ქ. ბოხუმის რურის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ასევე სამთო მუზეუმის მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის ლაბორატორია. ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ერთი დოქტორანტის მიღება.

გაზაფხულის სემესტრი
2010 წელი